კასპის ღია ტურნირი კარატეში

დებულება

5 ნოემბერი, 2023 წელი.

საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია

მხარდამჭერი ორგანიზაციები

- კასპის მუნიციპალიტეტის მერია
- საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია
- კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავნჯდომარე:

- დ. დალაქიშვილი - 577 65 72 28
- დავით ტყებუჩავა - 577 545 777

ტურნირის მსაჯობა

ტურნირს იმსაჯებენ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის აკრედიტირებული მსაჯები.
ტურნირის მთავარი მსაჯია მსოფლიო კარატეს ფედერაციის A კატეგორიის მსაჯი თათია მელუა

ტურნირის მიზნები და ამოცანები

- საქართველოში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია
- სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა, გამოცდილების მიღებაში და დონის ამაღლებაში
- საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები

სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის ჩატარების დღეს 5 ნოემბერი 2023 წელი.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2023 წლის 4 ნოემბრისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენების ჯამრთელობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მონაწილე სპორტული კლუბი და მისი ხელმძღვანელი.

ტურნირზე მონაწილეობის საფასურია 20 ლარი. ტრანსპორტირების და კვების ხარჯები უნდა გასწიონ შესაბამისმა სპორტულმა კლუბებმა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის დამტკიცებული წესებით.
სპორტსმენი რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.

10 წლის ასაკიდან სავალდებულოა „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება დარბაზში მოქმედების წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენელტათვის ასევე გულშემატკივართათვის.

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხირდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი დისციპლინარული.

მწვრთვნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, მისი არაეთიკური საქციელის შემთხვევაში დისკვალიფიცირებული იქნება სპორტსმენი.

ტურნირის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

➢ დამწყები (B კატეგორია)

ასაკი	ვაჟები	დრო	ასაკი	გოგონები	დრო
6-7	-25კგ, -30 კგ,+30 კგ	1 წთ	6-7	-20 კგ, +20 კგ	1 წთ
8-9	-30 კგ, -35 კგ, +35 კგ	1 წთ	8-9	-25 კგ, +25 კგ	1 წთ
10-11	-32 კგ,-37კგ, +37 კგ	1.5 წთ	10-11	-30კგ, +30 კგ	1.5 წთ
12-13	-42კგ, -47 კგ,+47 კგ	1.5 წთ	12-13	-42 კგ, +42 კგ	1.5 წთ
14-15	-55 კგ,-60 კგ,+60 კგ	2 წთ	14-15	-50 კგ, +50კგ	2 წთ

➢ გამოცდილი (A კატეგორია)

ასაკი	**ვაჟები**	**დრო**	ასაკი	**გოგონები**	**დრო**
6-7	-25კგ, -30კგ, +30კგ	1 წთ	6-7	-20კგ, +20კგ	1 წთ
8-9	-30კგ, -35 კგ, +35 კგ	1 წთ	8-9	-25კგ, -30კგ, +30კგ	1 წთ
10-11	-32კგ, -37კგ, +37კგ	1.5 წთ	10-11	-30კგ, -35კგ, +35კგ	1.5 წთ
12-13	-42კგ, -47კგ, -55კგ, +55 კგ	1.5 წთ	12-13	-42კგ, -47კგ, +47კგ	1.5 წთ
14-15	-55კგ, -60კგ, -67კგ, +67კგ	2 წთ	14-15	-47კგ, -54კგ, +54კგ	2 წთ
16-17	-55კგ, -61კგ, -68კგ, +68კგ	2 წთ	16-17	-50კგ, -55კგ, +55კგ	2 წთ

გუნდური კუმიტე: 3x3, 2 ვაჟი, 1 გოგო.

ტურნირის პროგრამა

4 ნოემბერი 2023 წ. - ტურნირზე რეგისტრაციის დასრულება
5 ნოემბერი 2022 წ. (კვირა) შეჯიბრის დღე

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00 -9:30
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება 9:30 -10:30
- ასპარეზობის დაწყება 10:00 – 18:00
- დაჯილდოების ცერემონია - 18:00 – 18:30

4 ნოემბერს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრების მონაწილეთა სიები.

ასევე აღნიშნული ტურნირი წარმოადგენს სარეიტინგო ტურნირს და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები.

შენიშვნა:

B კატეგორიაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთაც გააჩნიათ კარატეში ვარჯიშის 1 წელზე ნაკლები გამოცდილება.

სპორტსმენს, არ აქვს უფლება გამოვიდეს B კატეგორიაშიც და გამოცდილებშიც ერთდროულად, ასევე არ შეძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია.

12-13 წლის კატეგორიის ჩათვლით ასპარეზობა გაიმართება ოლიმპიური სისტემით, ანუ დამარცხებული გამოეთიშება ასპარეზობას, ხოლო 14-15 და ზემოთ ასაკის კატეგორიებში შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებელი სისტემით.

შეჯიბრის განრიგს გაცნობებთ დამატებით.